


რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან-ბატონის სახლში... გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან-ბატონის სახლში...



ფანი განცხადებისა

სტრიქონზე რვა ცაბ. განცხადება... სტრიქონზე რვა ცაბ. განცხადება...

გამოდის ყოველ დღე ორ შაბათს გარდა.

ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკა

მიიღება ხელის-მოწერა გ-ხეთ

«დროშაზე»

წირველის აგვისტოდამ წლის დამლევაძღე. ფანი ოთხი მანათი. სტაფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი. «დროშის» ნომრები თითოეულს შაურად იყიდება, თბილისს გარდა: ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში, ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში, დუშეთში, ცაბო ბაძაროვთან, გორში, სახოგადოების დეპოში, ალალო თუთაყვთან. აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

შალვაშავი

(«ჩრდილოეთის სააგვისტოსი».)

9 აგვისტოს.

პეტრეშვილი. 7 აგვისტოს კრასნოე სელოში ხელმწიფე იმპერატორმა თავის ხელით დაურთა პრიზები ოპიკრებს მარულაში თათის სროლაში და ხმლებით ბრძოლაში ქიშპობისათვის და დაბალ ჩინებს ნიშანში სროლისთვის; ოპიკრებმა მიიღეს ვერცხლის ნივთები, თათე-

ბი, ხმლები და ჰალაშები, დაბალმა ჩინებმა კი მარტო ვერცხლის და ოქროს საათები; შემდეგ მოხდა მათის იმპერატორებითი დიდებულებათა იქ მყოფობაში ოპიკრების და დაბალის ჩინების მხრულა იმპერატორის გვარის პრიზზე.

გზათა მინისტრი სამზღვარ გარეთ მიდის; სამინისტროს მმართველობა მინისტრის ამხანაგს ჰიუბენეტს მიენდო.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა 8 აგვისტოს მოვიდა უკან სამზღვარ-გარეთიდან.

ვოშინსკის მაგიერად, რომელიც სამსახურიდან დაითხოვეს ავად-მყოფობის გამო, უწმინდეს სინოდის განცხადებით მმართველად დაინიშნა სინოდის ობერ-პროკურორის იურისკონსულტი საბლერი.

გაზეთები იწერებიან, რომ იმ პირების მდგომარეობის განსახილველად და შესასუმებულებად, რომელნიც სახელმწიფო დანაშაულობაში არიან გარეულნი, დაწესებული რჩევა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ორევესკის თავმჯდომარეობით, რომელშიაც იქმნებიან პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი პლევე, ვიცე-დირექტორი პლიუშჩევსკი, პლიუშჩიკი, პეტრობურდის ქალაქის ნაუფროსალი ზუროვი, გორემიკინი და პროკურორის ამხანაგი დობრჩინსკი.

სამხედრო სასწავლებლებიდან

მოსწავლეთ ოპიკრებათ გამოშვება 12 აგვისტოს მოხდება.

ხოლერის გამოსავლევად ეგვიპტეში იგზავნება კიევის უნივერსიტეტის პატალოგიური ანატომიის პროფესორი მინნი.

იაროსლავლი. გუშინ მოვიდა აქ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსი ძით ვეტრე ნიკოლოზის ძითურთ და დამე წავიდა ორთქლის გემით კოსტრომაში.

აპირი. უგანასენელს 24 საათის განმავლობაში მოკვდა ხოლერიით გაირში 4 და პროვინციებში 182 კაცი.

ბრისტი. წარსულ დამეს იტალიელ გიმნასტიური საზოგადოების წევრებმა უწესოება მოახდინეს; წინა დღით იტალიელებმა სცემეს ერთს ნემეკურ გაზეთის რედაქტორს და დასტრეს პოლიციელი.

თბილისი, 10 აგვისტო.

მალაქებს თვით-მმართველობა აქეთ მიცემული, მაგრამ ხშირად ამ თვით-მმართველობას ეპატრონება რამდენიმე გავლენიანი პირი და ისე ატრიალებს ქალაქის საქმეებს, როგორც უნდა. ეს უწესოება, რასაკვირველია, თვით-მმართველობის დედა-პრისბრალი არ არის; ეს იმის ბრალია, რომ არჩენის წესი შეძლებულა აძლევს აღვირის ხელში და შეუძლებელი კი ჭორმის გულისთვის სხედან ქალაქის რჩევაში და ყოველისფერზედ თავი უნდა დაუქონონ უმდიდრესს უმრავ-

ლესობას. მთუ პროტესტი გამოაცხადეს, ამითაც ვერას გახდებიან, რადგან უმცირესობის ხმა ჩვეულებრივ რჩევას ხალის სიგრცეში იკარგება.

ღიარ რომ თვალსაჩინო მაგალდობით მომხდარა ამ დღეებში შალვაშავის ქალაქის რჩევაში და ეს მაგალითი კარგად ამტკიცებს საქართვებას არჩენის წესის შეცვლისას. იქნებან განსომდეთ, რომ შალვაშავის ბანკმა სხვა რუსულ ბანკებს წაბაძა და ნახევარ მილიონამდე გული დაალო ქალაქს იმ ბანკის მმართველების წყალობით, რომელთაც მაღა თაფიანთ ქონებას ვერ შეუწყურეს. ამ დღეებში მომხდარა კრება ამ საგანზედ შალვაშავში და ბანკის გამგეობას წარუდგენია თავისი აზრი რჩევისათვის, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ბანკის საქმეები: მთავრობას ეთხოვოთ, უთქვამს გამგეობას, ნახევარ მილიონი მანეთი ხუთის წლით უსარგებლოდ და მასუკან სარგებელი ვაშლიოთ. ამ ფულით გაეუმჯობესოთ იმათ, რომელთაც ბანკში ფული მობარებული აქეთ და მერე ოპერაციები გაგვიადილდებო. ორ ხმოსანს ეჭვი გამოუტხადებია, რომ მთავრობამ ნახევარ-მილიონი გამოიმეტოს შალვაშავის ბანკისათვის და თუ მართლა იმედი გაქეთ არის, ისა დაჯობს ჩვენის ბანკის საქმეები კარგად გამოვიკლიოთ, ყოველივე გარემოება ვაძნობოთ მთავრობას და იქნება მხოლოდ მაშინ არ დაიშურას ეგ ფულიო. ამას გარდა ცნობაში მოვიყვანოთ, ვინ არის ბანკის მოვალე და თვითვეულს მათგანს აქეს რამე შედ-

«დროშის» ქელტონი, 11 აგვისტ.

ხოლერა.

ხოლერა ეგვიპტეში. — გადავრჩით, თუ არა? — გარეგანი ნიშნები ხოლერიით ავადმყოფობისა. — ხოლერა და ხოლერა. — სხვა და სხვა საშუალება ხოლერის ასაცილებლად. — კარანტინი, თუ სახიფათოა წესები? — ექიმებისა და მეცნიერების ოპინიონი. — გამოჩენილი პასტერი და უჩინარი ორგანიზმები. — უფასო რეცეპტები. — დამოუკიდებელი ხოლერამ ეგვიპტეში ეკლო. ტელეგრაფებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ ეგვიპტის დედა-ქალაქს აიროსი, სადაც ამ სამი კვირის წინ აღიკვეთა და ოთხსაათში კარას-სამასი კაცი იხრცებოდა, ენდა ამავე ოცდაათის საათის განმავლობაში მხოლოდ ოთხი მომკვდარა და ეს ავადმყოფობის განელებათა მთელს ეგვიპტესაც დასტურებია; მერამ თაფისუფლად ამოიასუნთქა; ყველას იმედი მიეცა, რომ ენდა კი გადავრჩით ამ საზარელს

სენს, გადავრჩით კარანტინებს, მერაო კარბოლის სიმჟავეს და სხვა ღებინაქციის ნივთიერებით კვდებისა და ტანისამოსის თითხნას; გადავრჩით განუწყვეტელს ლაპარაკს ქალაქების გასუუთავებაზე, ხმოსანთა უქმად ყოფნაზე, ხილის გაყიდვის აკრძალვაზე. ღიარ, გულში იმედი გვიღვივის, რომ ხოლერა აგველა და გაუმძღარმა მირმა იმყოფინა ის რამდენიმე ათასი მსხვერპლი, რომელიც მან ისედაც მარმანდელ ომისაგან დაზიანებულს შევიტეს გამოაცალა. მაგრამ მართლა გადავრჩით, თუ არა? მართლა შევიტეს იქმარა სანაეროდოლ ამ ეგოჯობისაგან წარმოგზავნილმა სენმა, თუ შეიძლება მერმის გაზაფხულზედ მეროპაშიაც იჩინოს თავი და ისე მუსრი გაელოს აქაურობას, როგორც არა ერთხელ გაუელია ამ საუკუნეში. ჩვენდა სამწუხაროდ, გამოცდილება გვეუბნება, რომ ამ ავადმყოფობის განელება სრულს მოსპობას არ მოასწავებს; გამოცდილება გვეუბნება რომ ამ საუკუნეში ხუთ-

ჯერ გაჩნდა მეროპაში ხოლერა და არც ერთხელ ორსა და სამს წელიწადზედ ნაკლებ არ გაგრძელებულა მისი შემსუსვრელი მოქმედება. აგსტრიაში მაგ. გაჩნდა 1865 წელს და სამის წლის განმავლობაში 130,000 სული შეიწირა; პრუსიაში 1866 წელს გაჩნდა და გაგძელდა კიდევ სამს წელიწადს; რუსეთში 1865 წლიდან 1873 წლამდე ხოლერა არ მოსპობილა და ამ ცხრა წლის განმავლობაში ნახევარ-მილიონამდე სული იმსხვერპლა. ეს მაგალითები ამტკიცებენ, რომ ადვილად შესაძლებელია ეგვიპტის ხოლერამ მერმის უფრო ძლიერ იჩინოს თავი და თავის ასპარეზი უფრო განხედ შემოიფარგლოს; ამასვე ამბობენ ზოგიერთი ექიმები და მეცნიერნი და ხალხს აფთხილებენ, ნუ გგონიათ დროებით განელება საბოლოოდ მოსპობასა ნიშნავდესო.

თვის ხოლერა უფრო ძლიერია, მეტადრე ივლისში, ვიდრე სხვა დროს და აი, რა კი აგვისტო თითქმის განახევრდა, ხოლერის მსხვერპლის რიცხმაც იკლო.

პრაფერი სასიამოვნო ამბავი კი შევატყობინეთ მკითხველს, მომავალში ხოლერის გაძლიერებაზე წინასწარ მეტყველობით, მაგრამ ისე გაუფრთხილებას სჯობს ყურის მოყრუებას და არჩენიან უზრუნველს ცხოვრებას. მაშინ, როდესაც შეიძლება მალე მოუწიველი სტუმარი უეცრად თავს დაგვატყდეს და თავისებური მასანძლის პათივის-ცემა გაგვიწიოს. ამისათვის ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ როგორც ხოლერის თვისებები ისე მისის მზგავსის ავადმყოფობისა.

შერს გაეგონება, რომ ხოლერას გარდა არის ერთი ავად-მყოფობა, რომელსაც ხოლერინას ეძახიან და რომელიც სრულებით ისე საშიშარი არ არის, როგორც თითონ ხოლერა, მაგრამ ხანდისხან ეს ავადმყოფო-

ლებს, რომ ბანკის ვალი გადაიხადოს, თუ შეუძლებელ მოვალედ უნდა გამოაცხადდეთ. ამ საფუძვლიან აზრს მთელი რჩევა ყალბზე დაუყენებია. რა თქმა უნდა, ყველას გააკვირვებს ეს უადგილო უარი ბანკის საქმეების გამოსწორების, მაგრამ აღვირქავე ასახსნელია, თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ მომეტებული ნაწილი ხმოსნებისა ბანკის მოვალეებათ ითვლებიან და ბევრ მათგანს არაერთი ლანის-ძიება არა აქვს ფულის დაბრუნებისა. რასაკვირველია, ეს ბატონები არ იწოდებიან თავიანთ შერცხვენას და გულადათაც გამოაცხადეს, საქმეების სინჯვას თავი დაიანებოთ და ნახევარ-მილიონი მთავრობას ეთხოვოთ; ალბად იმასთვის, რომ ეს ნახევარ-მილიონი დანარჩენ ხმოსნებს დაურეგონ უსარგებლოდ და თავნ-დაუბრუნებლად.

აი რა კერძო ინტერესები ამოქმედდებიან ხშირად ქალაქის რჩევას, — იმისთანა ინტერესები, რომელთაც ქალაქის საქმეებთან სრულიად არაფერი კავშირი არა აქვთ-რა. სწორედ მომწიფდა ეს ქალაქის რჩევაში არჩენის წესის შეცვლისა და იმედია რომ რუსულ გაზეთების ლაღად ამ საქმის თაობაზე მთავრობა შეისმენს და ესრედ წოდებულს ინტელიგენციას, გონების ძალას, ქალაქის რჩევისკენ გზას გაუკვალავს. მაშინ მაინც იქნება დასცხრეს ჩემ-ჩემობა და მის ადვილას საზოგადო საქმისადმი ერთგულება დამყარდეს.

ახალი ამბები.

შეთაისილამა გეწერენ, რომ დიდი ხანია, ბძანება მოვიდა სასაფლაოები ქალაქს გარეთ გაიტანეთო და ამ ბძანების ძალით კიდევ მოსპეს ბორის ეკლესიაზე მიცვალებულების მარხეა, მაგრამ ორს ეკლესიას მაინც არა ეშველა-რაო. შირთი არის წის

ბაც ხოლერად გადაიქცევა ხოლმე.

ხოლერინა იმით იწყება, რომ ღამე, ან დილა აღრიან ავად-მყოფს მუცელში ყვანას უმატებს და მალე პირიდან საქმეც მოსდის. როგორც განავალი, ისე პირიდან ნასაქმი თხელია, წყალ-წყალა და არც ფერი აქვს რამე, არც სუნის. ამასთანავე ავად-მყოფი საშინელ წყურვილსა გრძობს და გულის ფიცართან და კუჭთან ტკივლობს. შარდზე აღარ გადის, ფეხები უკვლანჭება, სისხლი უსქელდება და თავისუფლად ვერა მოძრაობს; კანი ულურჯდება და უცოვდება. ამას შემდეგ ხოლერინა ან ნამდვილ ხოლერად უნდა ვადიქტეს, ან ავად-მყოფს ამ ნიშნებმა უკლოს და რამდენსამე დღეს უკან განთავისუფლდეს.

ხოლერა თუმცა ჰგავს ამ ავად-მყოფობას, მაგრამ ისე როგორც ვეფხვი კატას, თუ კი ამისთანა შედარება მორი-მორს შედარება არ გამოდის. ნიშნები ხოლერისა თითქმის

ბიორგისა და მეორე შემწვან-ყვავილამი. ამ ეკლესიებთან გამართული სასაფლაოები ისე გაიქცა მიცვალებულებით, რომ თუ ადამიანის ძელები არ ამოიყარა, ახლოს საფლავს ისე ვერ ამოსთხრიანო. აღრიანდელ გუბერნატორს ბევრჯერ მიუწერია შეთაისის ქალაქის რჩევისათვის ამ საგანზე, მაგრამ არაფერი გამოსულაო. მართლაც კვირელებია, რომ იმ განათლებულ პირებს, რომელნიც ამ რჩევაში სხედან, ან არ ესმით შუა-ქალაქში სასაფლაოების მიწებისა, ან დაუდევრობით ხელს არა სძრამენო. იქნება ეს მაინც მიაქციოს ყურადღება ან ახალმა გუბერნატორმა, ან იპერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმაო.

შეთაისილამ იწერებინა: შეთის უწინდელეზურად სიცოცხლე აღარ ატყუია; სააგენტოები დაიხურა, კომისიონერები ბათუმში გადავიდნენ, ფაქტობრივად და დროების რიხები შემცირდა, მრავალი სახლები დაიკა-ლა და სასტუმროები დაიკეტა. მაპირებდით სანუგეზოდ ქვის ეკლესიის აგებას, მაგრამ აუბედურს კაცს ქვა აღმართზე მოეწევა: ჩვენმა დეპუტატმა ბ. ხუმარაძემ გვირგვინის კურთხევის დროს წაიღო ეკლესიის პლანი და ეპისკოპოსისაგან დამოწმებული წიგნი, რომ უმაღლეს პირებისაგან შემწეობა ეთხოვა. ბევრმა თურმე შემწეობაც აღმოუჩინეს, მაგრამ წიგნიც, პლანიც და სხვა იქიდან წამოღებული საჩუქრებიც ჩემოდანთან ერთად დაუკარგავს ბ. ხუმარაძეს. ძარგი იქნება შეეიტყოთ, თუ რამდენი შეგროვდა ჩვენის ეკლესიის ასაგებად შემოწირული ფული.

ივლისის გასულს ძავეასიაში ფილოქსერის კომიტეტმა ორი ფილოქსერის პარტია შეადგინა, რომელთაც მინდობილი აქვთ ჩვენის ეკლესიის გასინჯვა. ამ პარტიებს მოვალეობათა სძევთ მხოლოდ იმ ვენა-

იგევეა, რაც ხოლერინასი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხოლერის დროს პირიდან საქმეცა და მუცელში ყვანა მეტად ასუსტებს ავად-მყოფს, აღარაფერის საქმლის მიღება არ შეუძლიან და ხშირად, ძალიან ხშირად, 12—24 საათში სულსა ლევენ. სიკვდილის წინ ავად-მყოფი საზარელს სურათს წარმოადგენს: თვალები და ლოყები უცოვდება, ცხერი უგძელდება, თითები უწერილდება; ხმა უწყდება, ტანი ულურჯდება, უცივდება და განავალი, მისდა უნებურად, ტანიდან გამოდის. ავად-მყოფი საშინელს სევდასა ჰგრძობს და გულის კოვზთან იტკივებს. შემდეგ პატარა ხნობით თითქო მშვიდდება, უგრძობლად არის რამდენსამე ხანს და ბოლოს კიდევ კვდება.

საზარელია ხოლერით ავად-მყოფი, მაგრამ ხოლერით მკვდარი კიდევ უფრო საზარელი ყოფილა. დიდ-ხანს ხოლერით მკვდარის ტანი თბილი რჩება და სიკვდილის შემდეგ ძარღვები მოკლდებიან და თავიანთ შემო-

ხების დათვარიელება, სადაც საეკვირავედმყოფობა იჩენს თავს, ან სადაც უცხო ქვეყნიბიდან შემოტანილს ვაზებს შეიძლებოდა თან ფილოქსერა მოჰყოლოდა. პირველს პარტიას, აგრონომის ბევრის ხელმძღვანელობის ქვეშ მინდობილი აქვს მბილისისა და შეთაისის გუბერნიები და მეორე პარტიამ, რომელსაც მოთავედ აგრონომი მანოვი ჰყავს, უნდა გასინჯოს ვენახები ჩერნომორიის, თერგისა და შუბანის მაზრებში და სტაგროპოლის გუბერნიისაში.

მა პარტიები 1-ლს ოქტომბრამდე ისაქმებენ. ორივე ეს პარტია წარსულ კვირას გამგზავრებულა თავის საქმეზედ. ამას გარდა ერთი დროებითი პარტია მალე სახუმს ახლო დაუწყებს სინჯვას გარეულ ვაზებს იმ ალაგის ახლო, სადაც ფილოქსერა აღმოჩენილი («ძავეასი»).

«ძავეასია» სწერენ, რომ ზაქათალაში პირველს აგვისტოს დილის 1 საათზედ და 47 წამზედ ორჯერ იქრა მიწა და თითო ძერა რამდენსამე წუთს გაგძელდა. ეს მოვლენა ისე საგრძობელი ჰყოფილა, რომ არამც თუ სახლებში, ქუჩებში მდგართაც კი შეუქმნიდით.

ქაქამდის სახელმწიფო ქონება ძავეასიაში აქაურ მთავარ-მმართველის ხელში იყო, მაგრამ პირველის იელი-სილამ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხელში გადავიდა. მალა ძავეასიაში მოსვლას აპირებს თურმე უწინდელი ძაშინევისა და ბესარაბიის სახელმწიფო ქონებათა გამგებობის უფროსი ტიხევეი მთავარ-მმართველისაგან ჩვენებურ სახელმწიფო ქონებათა მისაღებად («ძაქა»).

რუსეთი

— რუსეთში მრავალი ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ

კლებით ჰკლანქვენ უსულოდ მდებარე სხეულის ხელ-ფეხს.

რალა თქმა უნდა, რომ რაც ეს საშინელი გადამდები სენი გაიცნეს, ბევრის ყურადღება იმაზედ მიქცეული, თუ ეს ავად-მყოფობა როგორ აიცილიონ თავიდან, ან თუ გამოჩნდა ხოლმე, როგორ შემოუფარგლონ მოედანი და წრეს გარეთ არ გამოუშვან. ბევრი მელანი დაღერილა ამ საგანზედ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არაფერ ნამდვილი და გადაწყვეტილი არა იცის-რა. შირთი ამტკიცებენ, რომ ხოლერა პირ-და-პირ გადამდები არ არის, თუ კი კაცმა გული გაიმარა, თავის თავს ყური უფდო, არ შესცვალა ყოველ-დღიური ცხოვრება და მოერიდა უსუფთობას, მანე-ბელ საქმელს, უსზომოდ გაძლომას და სხვ. ამის დასამტკიცებლად მოკყავთ ზოგიერთი მაგალითები, რომელნიც ვითომ მათს აზრს ამტკიცებენ: ამა-და-ამ ქალაქში მარტო ესა-და-ეს ქუჩა დაზიანდაო, ან ესა-და-ეს სახლიო, ან კიდევ ერთი მხარე ქუ-

იმათ ზოგიერთი განსაკუთრებით უფლებები მიენიჭოთ უმწიფობის სკოლებში აღზდაში და სახრფლო სკოლების მართვაში. სხვათა შორის ყურადღების ღირსი ის არის, რომ ერობები თხოულობენ — სასწავლებლების ინსპექტორები ერთის წლით იყვენ ამორჩეულნი და უთუოთ ერობების სურვილით და თანხმობით. იწერებინა, რომ მთავრობას ამ თხოვნებისთვის ყურადღება მიუქცევია და შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო განათლების სამინისტროს თანხმობით, მიუწერია გუბერნიის თავად-აზნაურების წინამძღომელებისთვის, თავიანთ აზრი წარმოადგინონ: შეიძლება, თუ არა ეს საგანი ისე განიხილოს, როგორც ერობები თხოულობენ, და ან როგორ და რამდენად შეიძლება შეიცვალოს გუბერნიის ერობების უკლებანი ყრმების აღზდაში.

— შინანსთა სამინისტროს ზოგიერთა პირებისთვის მიუწერია, შეისწავლოს სხვა-და-სხვა ეგროპის სახელმწიფოებში ის კანონი, რომლის ძალითაც ფაბრიკების და ზაფოდების მცირე წლოვანს მუშებს უთუოდ უნდა ასწავლონ წერა-კითხვა. ეს განკარგულება იმითამ მოხდა, რომ რუსეთშიაც აპირებენ ამ კანონის შემოღებას.

— პეტერბურლიდამ იწერებინა გაზეთებში, რომ იმ ნაწიჭესტის გამო, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის და მისი მეუღლის გვირგვინის კურთხევის დროს გამოიკა და რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება მიენიჭა — შეუშლუბუქოს მდგომარეობა ციმბირში დასახლებულს და სხვა ადგილებში გაგზავნილ პოლიტიკურს დამნაშავეებს, ბევრი თხოვნა და შუამდგომლობა მოსვლია მინისტრს ამის თაობაზე პოლიციის დეპარტამენტი უკვე შესდგომია ამ თხოვნების განხილვას და, ხმებია,

ჩისა ხოლერამ გაანადგურა და მეორეს ხელიც არ ახლოა. ეს პირნი, რალა თქმა უნდა, ამტკიცებენ კარანტინების უფარგისობას და არა სჯერათ, რომ კარანტინს შეეძლოს ხოლერის შეჩერება. შურთ ინგლისელები ადგან ამ აზრსა, რადგან კარანტინის დაწესებით იმათ-ოდენა ზარალი არავის მოსდის. ხუმრობაა, დღემი რამდენი ათასი და ათათათასი გემი მიდის და მოდის მთელის ქვეყნის კოლონიებში ინგლისურ საქონლით და ტვირთული და უცებ კარანტინმა ეს გემები რამდენიმე ათის დღით უნდა ნათ-საყუდელში შეაჩეროს და ამ დაგვიანებით ინგლისის ვაჭრობას რამდენიმე მილიონი ზარალი მისცეს! მათი თავიანთ ვაჭრობის მომხრედ მათ მეცნიერებიც წამოაყენეს, რომელნიც პირზე — ქაქ-მოდგმულები ამტკიცებენ კარანტინების უმნიშვნელობას და სანიტარულ წესებს კი საუკეთესო საშუალებად სთვლიან ხოლერასთან საბრძოლველად.



რომ ბევრად შეუსაბამებლად ამ დამ-
ნაშვიტად აღმოჩნდა.

— იქილამვე იწერებინა, რომ პე-
ტრობურლის ქალაქის რჩევის ათის
წლის მოქმედების სახსოვრად მომა-
ვალს სექტემბერში გაიხსნება ათი სახა-
ლი პირველ-დაწყებითი სასწავლებელ-
ი.

— ამ უკანასკნელს ხანებში ხალო-
თა განათლების სამინისტრომ ძალიან
მოუხშირა სხვა-და-სხვა სახლი წესების
გამოცემას. დღეს მოსულს გახეობებში
ეკითხულობთ, რომ კიდევ შემდეგი
წესები დაუდგენია მას შესახებ საშუა-
ლო სასწავლებლებისა: 1) იმ შუა
სასწავლებლების შეგირდები, რომ-
მელთ კურსიც, მოსამზადებელ კლას-
ის გარდა, 7 და 8 წელიწადი გრძელ-
დება, სამჯერ მეტად არ უნდა დარჩ-
ნენ ერთსავე და იმავე კლასში ორ-
ორ წელიწადს, ხოლო 4 ან 6 წლის
კურსიან საშუალო სასწავლებლების
შეგირდები ორჯერ მეტად; 2) თუ
ამ გვარად ერთსავე და იმავე კლასში
დარჩენილი შეგირდი მასუკანაც ვერ
გადავა შემდეგ კლასში, იგი და-
თხოვნილ უნდა იქმნას სასწავლებ-
ლიდამ უნიკობისათვის, მაგრამ უფ-
ლება კი უნდა მიენიჭოს, რომ შე-
ცდლოს შესვლა სხვა გარს სასწავ-
ლებელში, სადაც უფრო ადვილი
კურსი გასაღებელი; ამის გამო მოწ-
მობებში, რომელშიც ამ გვარად და-
თხოვნილ შეგირდებს მიეცემა, მოხე-
ნებული უნდა იყოს — რომელიც კლას-
ში იქმნა შეგირდი დათხოვნილი,
ან სახელდობ რომელ საგნებში იყო
ის სუსტი; 3) საშუალო სასწავლებ-
ლის მეხუთე კლასიდან დაწყებითი
ალბა შეიძლება დარჩეს შეგირდი
ერთსა და იმავე კლასში ორჯერ
ორ-ორ წელიწადს; და, 4) თუ შე-
გირდი ვერ სწავლობდა რიგზე ან
ავად-მყოფობის გამო, ან მის სახ-
ლობაში რაიმე უბედურების მოხდე-

ნის გამო, მაშინ ეს გარემოება შე-
დელობაში მიღებულ უნდა იქმნას
ამ წესების შესრულების დროს.

შსსოპი

— ამერიკის შეერთებულ შტატებში
ამას წინადა ტელეგრაფებზე მოსამსახურე
პირებს შეტაკება მოუსდოთ ტელეგრაფ-
ებისავე გამზანებთან. ეს სხვა იწერებინა,
რომ ეს შეტაკება კიდევ არ დაწყებულა
და უფრო ძლიერდება. გამზანები
არაფერს არ უთმობენ მოსამსახურეთა
და კენივ თავისას არ იშლიან. ბერი
სხუბებს სამსახურს თავს და იმედი აქვს,
რომ ამით შეეწყვიტოს სხვა რგინის გზების
ტელეგრაფის მოსამსახურენი, რომელ-
თაც რიცხვი 10,000-დგა. ამ უკანასკ-
ნელთ აღუთქვამთ პირველთათვის, რომ
ისინიც დახსნებენ თავს სამსახურის მთ-
საშუადად. ეს გარემოება ძალიან გაძ-
ნელებს ამერიკაში ტელეგრაფების გზა-
ნას და ამის შიში ნიუ-იორკის ბირჟის
ასლავე დასტოვდა. ახსნებულები აქამ-
დენ სწავლობდნენ საზოგადო თანაგამ-
ნობა მოკვებებისა და უწყობებსა ეფ-
დებდნენ, მაგრამ ესლა კი ახლობენ, რომ
ამათ წესი დაურღვევებთ და ბერს ად-
გილას ტელეგრაფის ძაფი დაუწყებთათ.

— ამას წინადა იყო გასუთებში მოყ-
ვანილი, რომ ინგლისის მმართველობა
სამხედრო გეგმა გაგზავნა მადგასკარ-
ში, რადგანაც მას ამბავი მოუვიდა თავის
მადგასკარულ აგენტებისგან, რომ საფ-
რანგეთის ადმირალი პირი ცრუად მოყ-
ბურა ინგლისის ელჩს, რომელიც ქა-
ლაქს ტანტავაში იმყოფება. ამ დღებში
ჭიდგოლში (ინგლისში) დიდი სადილი
ყოფილა და ამ სადილზე გლადსტონს
გამოუცხადებია, რომ ეს ამბავი ტყუი-
ლი გამოდგა, ინგლისის მმართველობა
მადგასკარის აგენტებს შეაჩინეს და
იქ სრულიად არაფერი არა მომხდარა-
რა ინგლისელების წინააღმდეგო.

— გამოსენილი საფრანგეთის კომუ-

რასაკვირველია, ეხლანდელს საუ-
კუნეში, როდესაც მისელა-მოსელა
და აღებ-მიცემა თითქმის მთელს ქვე-
ყანაზედ გაადვილდა, კარანტინები
დიდს ხარალს მისცემენ, როგორც
სახელმწიფოს, ისე კერძო პირებს,
მაგრამ კაცობრიული გრძობა მო-
ითხოვს, რომ თუ კი მართლა კარან-
ტინებისაგან შევლას უნდა მოველო-
დეთ რასმე, არა უნდა დაწხოვდეს-
მათ ვხამებრთვად. მკვი არ არის,
რომ მართლა კარანტინებს არა შეუძ-
ლიანთ-რა, თუ კი სისუფთავესა და
ხორავის სიკეთესაც არ ექნება ყუ-
რადლება მაქცეული.

ამ დროს როდესაც თითქმის მთე-
ლი ქვეყანა ხოლერაზედ ლაპარაკებს
და ჯერედ უცნობს მიხეზებს ეძებს
ამ ავადმყოფობის გამჩენისას, საფ-
რანგეთის გამაჩენილი მეცნიერი პას-
ტერი, რომელმაც უკანასკნელ დროს
ბერის გადამდებ ავადმყოფობის მი-
ზეხად უჩინარი მიკროკოპიული ორ-
განიზმები იცნო და მოსარჩენი სა-
შუალებაც აღმოაჩინა, აცხადებს თა-

ნარი დიუბუა და რუსის ხაილისტი
გარტანია ამ დღებში პარიჟიდან ღონ-
დონში მისულან ამ კონგრესის მოსამ-
ზადებლად რომელიც მომავალს სექტემ-
ბერში სოციალისტებს ექნებათ ამ ქალაქ-
ში.

— პრესურგის დაზუდა-ზეშტის (გენ-
რალში) მცხოვრები ძალიან გაბრაზებუ-
ლები თურმე არიან ურბესე, — ასე რომ
მმართველობა იმულებული გახდა, პრეს-
ბურგში ოცს ადგილას დაეყენებინა
4,000 ქვეითი და ცხენოსანი ვარი და
მრავალი პოლიციელი. თუმცა არაფერი
არა მომხდარა-რა, მაგრამ ძალიან გაუ-
ჭირდათ კი მშვიდობისათვის დედა. ურია
შარტის სახლობა, რომელიც ტისა-ქლა-
რის საქმეში არის, იმულებული გახდა,
ზემე პრესურგის გარდასასლულებიყო.

— ერთმა ინგლისელმა ექიმმა დედა-
კანმა, ქალმა კენილიმ, მმართველობას
გამოუცხადა სურვილი ეგებტეში წასუ-
ლისა და სოფლით ავად-მყოფების რჩე-
ნისა, მაგრამ გლადსტონმა უარ-ყო ეს
წინადადება ამ მიზეზით, რომ ვითმც-
ხოლერა სუსტად ედგება ტეში; აღქ-
სანდრიდამ კი იწერებინა, რომ სოფ-
ლთა თან-და-თან შეიფუტება და ექიმებიც
ძალიან ცოტანი არიანო.

ამასთანავე იწერებინა, რომ ის ექიმ-
ები, რომელთაც ამოუჭრი სოფლთა კარგათა
აქვსთ განცობილია, ამტკიცებენ, რომ უხ-
ლანდელი სოფლთა ის სენი არ არისო.

— ინგლისიდანვე იწერებინა, რომ სა-
ზოგადოებთა პალატას მიუღია წი-
ნადადება ამ დაქრთამვის წინააღმდეგ
ზომების მიღებაზე, რომელიც დეპუტ-
ტების ამოჩევის დროს სდება სოფლე.

— პარიჟიდან ცნობები მოსულა,
რომ ახლას ზღვის მინისტრს, ვიცე-
ადმირალს პერიონს, რამდენიმე მიუღია
თავის თანამდებობა, მაშინვე მოუხდენია
განკარგულება მადგასკარში მისაშუალებ-
ბულ ვარების გაგზავნასზე, ამ განკარგუ-
ლების დროსვე მოსკლას ახლას მინისტრს

ვის აზრს ხოლერაზედ და ამ სენსაც
ერთ ნაირ წერილ ორგანიზმებს აბ-
რალებს. პასტერი ამბობს რომ ეს
ორგანიზმები აღამიანეს სხეულში
პირიდან ჩადიან და ურთგო არ ექ-
ნება ხოლერის დროს ყოველივე საქ-
მელი მიღებულ იქმნას მხოლოდ მა-
შინ, როდესაც იმისთანა ფეხიდან
გამოიღება, რომლის ტემპერატურაც
ამ წერილ ორგანიზმებს გააწყობდა
და წყალიც მხოლოდ აღუღებული
და მასუკან გაკრეებული სენო.

ერთი ინგლისელი ექიმი ამბობს,
ვისაც უნდა რომ ხოლერა არ შეე-
ყაროს, სპილენძის პტყელი ნაჭერი
ატაროს გულზედ და ის დაიფარავ-
სო; სპილენძის საზოგადოდ ამისთანა
თვისება მქონია: 1854 წელს ინგლის-
ში საშინელია ხოლერამ გვერდზე
აუარა მხოლოდ იმ არტილორისტებს,
რომელნიც მუდამ სპილენძის ხარ-
ბახებთან იყვნენ. ინდოეთში, ვან-
გის ევლზედ სადაც ბუღია ხოლერი-
სა, ინგლისელი და საფრანგეთელი
ოფიცრები თურმე სპილენძის ნაჭერს

ტანტავადმ ქრანტუსულს დაეყენებოდა
მანდირის პირისგან სექტემბერში
სოხის თხოვნა, რომელშიაც პირი,
სხვათა შორის, სწერს, რომ ის ამ
თხოვნის შესუსს არ მოუხდის და ეს-
გადრის გამანდობას გარდასცემს სხვა
ნინით უფროსს გამოტანსა.

— ესპანიიდან მოსულ ამბებიდანა
სხანს, რომ კატალონიაში წესიერება
საშინ მდგომარეობაში არის. უმეტესი
საწილი აჭიკრებისა თანაგამნობენ,
თუმცა ამკარად კი არა, რესპუბლიკურ
მომრბობას. კატალონიაში ახსნება არ
მოსპობილა. რგინის გზების რელსებს,
შარა გზებს და სიდეებს ისე აფუჭებენ,
რომ იმათზე სიარული აღარ შეიძლება.
ბერს ადგილებში კარლისტებსაც მოუ-
კიდნიათ იარაღისთვის სული.

— შევიცარიდამ იწერებინა, რომ მ-
სექტემბერს სოციალ-დემოკრატიულ პარ-
ტიის გრება მოსდება ციურისში და ამ
გრებისთვის პრაქტიკულ პიროგზამას ამ-
ზადებენო. იქ უნდა გაისაჯოს შევიცა-
რიის მუშების საზოგადო მდგომარეობა,
ქაბრიკების განონი და მისი მოქმედება,
ქაბრიკებში მკვდატორების სამჯავროს
დაწყება, უფასო დამარსვა, და კიდევ
ის — თუ რა შემწეობა უნდა გაუწიოს
სასულმწიფომ ავად-მყოფების გასას და
მოხუცებულებს, და ბოლოს ხალხთა
შორის მუშების შესასუბი განონები. ამ
უკანასკნელ საგნის განჩევის დროს ილა-
პარაკებს დედა-კანის შრომასუდ და იმ-
სუდ, რომ ქაბრიკებზე არ უნდა ამუ-
შაონ 15 წელზე ნაკლები ბავშვი და
დღეში ათს საათზე მეტი მუშაობა არ
უნდა იყოს.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!
თქვენის გაზეთის 129 №-ში იყო ბ-ნი ვა-
ლატოზიშვილის წერილი, რომლითაც ის მი-
წევს თავისთან საქალად.
უწინარეს ყოვლისა არ შეიძლიან სინა-

ატარებენ და იმით იცილებენ თავი-
დამ ამ ავადმყოფობას. ერთი ექიმი
ამბობს, რომ ერთ გვარის სიმქაის
(სალიცილის) მიღება ღვინით ან
წყლით ძალიან კარგა საშუალება
არისო.

ჩვენ გვიანდადა უთვალავ მეცნიე-
რებისა და ექიმების ნათქვამისაგან
ერთი საზოგადო გასაფთხილებელი
რეცეპტი შეგვედგინა ჩვენის მკით-
ხელებისათვის, მაგრამ ამის მეტი ვერა
გამოვადნეთ-რა მათ ნათქვამებიდან:

ხოლერა რომ გაჩნდება, კაცი არ
უნდა შეუშინდეს, არ შესცვალოს
თავის ყოფა-ცხოვრება, მომეტებულ
საქველსა და სასმელს ერიდოს; თუ
საჭიროდ დაინახავს, გულზედ სპი-
ლენძის პტყელი ნაჭერი ატაროს და
სენს წყლით ან ღვინით სალიცილის
სიმქაეე, რომელსაც ყოველს აუთიაქ-
ში იშოვის.

მაგრამ ღმერთმა გვაშოროს რომ
საამრეცეპტოდ საქმე გაგვიხდეს!

